ემოციური შრომა და ორაზროვანი დანაკარგის განცდა დემენციის მქონე ადამიანების ოჯახის წევრებში

თამარ იშხნელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოწვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

14.06.2024

სარჩევი

აბსტრაქტი iii

Abstract v

1. დემენცია 3

1.1. ემოციური შრომა დემენციის მქონე პაციენტების ოჯახის წევრებში 7

1.2. ორაზროვანი დანაკარგის განცდა დემენციის მქონე პაციენტების ოჯახის წევრებში 9

2. წინამდებარე კვლევა 13

2.1. მონაწილეები და პროცედურა 13

2.2. შედეგები და ანალიზი 13

2.2.1. არსებული ემოციები *14*

2.2.2. გამოუთქმელი ემოციები *17*

2.2.3. პრიორიტეტების დალაგება *17*

2.2.4. ემოციებთან გამკლავება *19*

2.2.5. ურთიერთობების დანაკარგი *21*

2.2.6. დანაკარგის გაურკვევლობა *22*

2.2.7. მოულოდნელობასთან დაკავშირებული დანაკარგი *23*

2.3. დამატებითი მიგნებები 24

3. შედეგების განხილვა 28

დასკვნა 30

კვლევის შეზღუდვები და რეკომენდაციები 31

გამოყენებული ლიტერატურა 33

აბსტრაქტი

დემენცია ნეიროდეგენერაციული სინდრომია, რომელიც პაციენტში კოგნიტურ და ემოციურ რეგრესს იწვევს და მნიშვნელოვნად ზემოქმედებს პაციენტის ოჯახისა და ახლობლების კეთილდღეობაზე. წინამდებარე კვლევის მიზანია ემოციური შრომისა და ორაზროვანი დანაკარგის შესწავლა დემენციის მქონე პაციენტების ოჯახის წევრებში. ემოციური შრომა მოიცავს ემოციების მართვას და სოციალური ნორმების შესაბამისად მათ გამოხატვას, ხოლო ორაზროვანი დანაკარგი გულისხმობს დანაკარგს, რომელიც უკავშირდება გაურკვევლობის განცდას.

დემენციის მქონე პაციენტების მზრუნველებთან ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელიც სპეციალურად შეიქმნა აღნიშნული კვლევისთვის. ჩატარებული 7 ინტერვიუს გადარჩევის შემდეგ ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ 5 ინტერვიუ. თითოეული რესპონდენტი იყო ქალი, ხოლო რესპონდენტების საშუალო ასაკი - 42 წელი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დემენციის მქონე პაციენტის ოჯახის წევრები განიცდიან ისეთ ნეგატიურ ემოციებს, როგორებიცაა: შიში, ბრაზი, დანაშაულის და უსუსრობის განცდა. ამასთან, კვლევის შედეგად თითოეულ რესპონდენტთან გამოვლინდა ორაზროვანი დანაკარგი და მასთან დაკავშირებული გაურკვევლობის განცდა. თემატური ანალიზის შედეგად გამოიყო შემდეგი თემები: არსებული ემოციები, გამოუთქმელი ემოციები, პრიორიტეტების დალაგება, ემოციებთან გამკლავება, ურთიერთობების დანაკარგი, დანაკარგის გაურკვევლობა და მოულოდნელობასთან დაკავშირებული დანაკარგი.

რესპონდენტები ნაწილი აღნიშნავდა, რომ უჭირდათ ემოციებთან ჯანსაღი გამკლავება, მაშინ როდესაც რამდენიმე რესპონდენტი იყენებდა ისეთ ჯანსაღ გამკლავების მექანიზმებს, როგორიცაა პაციენტისთვის წერილის დაწერა. ამასთან, კვლევის თითოეული მონაწილე აღნიშნავდა, რომ დანაკარგის განცდას თან ახლდა გაურკვევლობის განცდა, რომელიც გამოწვეული იყო პაციენტის პიროვნული ცვლილებებით და მეხსიერების დაკარგვით.

საინტერესო მიგნებები გამოიკვეთა დემენციის მქონე პაციენტების მომვლელთა საჭიროების კუთხით - რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ მათ სჭირდებოდათ როგორც სოციალური მხარდაჭერა, ასევე იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარება.

საძიებო სიტყვები: დემენცია, ემოციური შრომა, ორაზროვანი დანაკარგი

Abstract

Dementia is a neurodegenerative syndrome that causes cognitive and emotional regression in patients and significantly impacts the well-being of their families and close ones. The aim of this study is to investigate emotional labor and ambiguous loss among family members of patients with dementia. Emotional labor involves managing and expressing emotions in accordance with social norms, while ambiguous loss refers to the sense of loss associated with feelings of uncertainty.

Semi-structured interviews were conducted with seven respondents, specifically designed for this study. After reviewing the interviews, five were used in the analysis process. Each respondent was female, with an average age of 42 years.

The study results showed that family members of patients with dementia experience negative emotions such as fear, anger, guilt, and helplessness. Additionally, ambiguous loss and the associated feelings of uncertainty were identified in each respondent. Thematic analysis revealed the following themes: existing emotions, unexpressed emotions, prioritization, coping with emotions, loss of relationships, uncertainty of loss, and loss related to unexpected events.

Some respondents reported having difficulty coping with their emotions in a healthy way, while a few respondents used healthy coping mechanisms such as writing a letter to the patient. However, each study participant noted that the sense of loss was accompanied by a sense of uncertainty caused by the patient's personality changes and memory loss.

Interesting findings emerged regarding the needs of caregivers of patients with dementia - respondents indicated that they needed both social support and resolution of difficulties related to legal issues.

Keywords: dementia, emotional labor, ambiguous loss

მადლობა

უპირველესად, მსურს მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ია შეყრილაძეს, დახმარებისთვის, თანადგომისთვისა და აქტიური ჩართულობისთვის. ასევე, მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ლექტორებს, კურსელებსა და მეგობრებს თანადგომისთვისა და დახმარებისთვის.

და ბოლოს, ვუხდი უღრმეს მადლობას ჩემი კვლევის თითოეულ მონაწილეს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი დამსახურების გარეშე კვლევის ჩატარება და განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.